ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 432

"29" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 და 163^3 მუხლების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და 3^1 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციის და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" №322 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" №756 დადგენილების გათვალისწინებით, ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1561.1907 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. იმ პირთა მიმართ, რომელთა აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი შენობა-ნაგებობის - ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის ხელშეკრულების ვადა საკრებულოს მიერ ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის გასულია (მათ შორის, ხელშეკრულება შეწყვეტილია), თუმცა პირი ამ დროისათვის ფაქტობრივად

სარგებლობს მიწის ნაკვეთით (მასზე განთავსებული აქვს ჯიხური) და მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული, სარგებლობის ვადის გასვლის (შეწყვეტის) თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ვადა მიჩნეულ იქნას გაგრძელებულად და ამ პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი სარგებლობის ქირა განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით.

ა) მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ასეთ მოსარგებლეებს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდებლობის გამო არ დააკისროს პირგასამტეხლო.

ბ) მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი სარგებლობის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას.

გ) მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის მიწის ნაკვეთზე ჯიხურით სარგებლობის გაგრძელების მიზნით, სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) ოდენობისა და გადახდის წესის შეუცვლელად.

დ) „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით არაუგვიანეს 2021 წლის 28 თებერვლისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას). მოსარგებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის (განთავსებული ჯიხურის) დამადასტურებელი ფოტომასალა.

2. იმ პირთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 ივლისამდე, მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, სარგებლობის ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) ოდენობისა და გადახდის წესის შეუცვლელად.

აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში (თუმცა არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა), დადგენილი წესით

გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე